ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის 2024 წლის აქტივობების შესრულების მონიტორინგის ანგარიში

2025 წ. 27 თებერვალი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგის შესრულების ძირითადი ინდიკატორების ფარგლებში 2024 წლისთვის მისაღწევი სამიზნე მაჩვენებლების მონიტორინგის ანგარიშს, რომელიც მოცემულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით.

დოკუმენტის მიზანია სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ხარისხიდან (მაღალი, საშუალო, დაბალი) გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებისა და გაუმჯობესების გეგმის განსაზღვრა და მისაღწევი ინდიკატორების შესრულების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება, რაც პოტენციურად ზრდის ჯიპა- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ დაგეგმილი სამიზნეების მიღწევადობის პოტენციალს. სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ხარისხი აღნიშნულია ფერებით - მწვანე - მაღალი შესრულება, ყვითელი - საშუალო შესრულება და წითელი - დაბალი შესრულება. აღნიშნული ჩარჩოს მიხედვით, მაღალია თითოეული აქტივობის შესრულების შეფასების გრადაციებზე გასვლის შესაძლებლობა შემოთავაზებულ სამსკალიან სისტემაზე (შესაბამისობის დაბალი, საშუალო და მაღალი დონე), რომლის პროცენტული შესაბამისობაც, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი ინდიკატორების შემთხვევაში გათვალისწინებულია შემდეგი სახით:

1 -დაბალი	2- საშუალო	3 -მაღალი
0>-<40%	40>-<70%	70>-<100%

დოკუმენტის საფუძველია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფის მიერ შეკრებილი მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებული მაჩვენებლები, რომელიც მოცემულია უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეულიდან შეგროვებული ანგარიშების საფუძველზე. აქტივობების მიხედვით კონკრეტული ინდიკატორების მიღწევის მაჩვენებლები წარმოდგენილია დოკუმენტის ცხრილში #1. დოკუმენტი ასევე ასახავს იმ დამატებით ინფორმაციას, რომელიც კონკრეტული ინდიკატორების შესახებ ინფორმაციის ნაკლულობის პირობებში მონიტორინგის ჯგუფმა მოითხოვა შესაბამისი დეპარტამენტების, ცენტრებისა და სტრუქტურული ერთეულებისგან.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ დოკუმენტში თავს იყრის ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ მუშაობის შესრულების ყველა ძირითადი ინდიკატორი, ხოლო ის ინდიკატორები, რომელიც 2024 წლის საანგარიშო პერიოდს არ ემთხვევა, აღნიშნულია ლურჯი ფერით.

დოკუმენტში წარმოდგენილი ინდიკატორების შესრულების ხარისხი ნაჩვენებია შესაბამისი სტრატეგიული მიზნისა და ამ მიზნის შესრულების ხარისხზე პასუხისმგებელი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიხედვით. ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2030 და 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა გულისხმობს 5 პრიორიტეტის მიხედვით განსაზღვრული 21 მიზნის მიღწევას:

- ✓ სტრატეგიული მიმართულება **I:** საგანმანათლებლო საქმიანობა;
- ✓ სტრატეგიული მიმართულება **II:** ინტერნაციონალიზაცია;
- ✓ სტრატეგიული მიმართულება **III:** კვლევითი საქმიანობა;
- ✓ სტრატეგიული მიმართულება**IV**: ინსტიტუციური განვითარება;
- ✓ სტრატეგიული მიმართულება **V:** პროფესიული განათლება.

სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ გამოყენებული შესრულების ძირითადი ინდიკატორების ფარგლებში 2024 წლისთვის მისაღწევი და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ხარისხი ნაჩვენებია ქვევით წარმოდგენილ ცხრილში #1.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესრულების ძირითადი ინდიკატორების მიღწევადობის ხარისხის კონტროლის გასაუმჯობესებლად 2024 წელს შემუშავდა და რექტორის 2024 წლის 27 მაისის 01-24/184 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მართვის ეფექტიანობის მექანიზმები და მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც წარმოადგენს ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მართვის ეფექტიანობის მექანიზმების ჩარჩოს. მასში განხილულია ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მართვის ინსტრუმენტები სამუშაო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ეტაპებისთვის და ემყარება წინასწარ განსაზღვრულ შესრულების ძირითად ინდიკატორებს. დოკუმენტში წარმოდგენილია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მართვის ეფექტიანობის ჩარჩო, რომელიც მოიცავს დაგეგმილ საქმიანობაზე მონიტორინგსა და შეფასებას შემდეგი ძირითადი აქცენტებით: - მონიტორინგისა და შეფასების საგანი - მონიტორინგისა და შეფასების სიხშირე - მონიტორინგისა და შეფასების მეთოდები - მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოყენებული შესრულების ძირითადი ინდიკატორები - მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშგების ფორმები და სიხშირეები - მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშგების საფუძველზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულებაზე ზედამხედველობა.

შეჯამებული შეფასება

საერთო შეფასებით, 2024 წლის საანგარიშო პერიოდში ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ მუშაობის პროცესში გამოყენებული შესრულების ძირითადი 148 ინდიკატორიდან, 37 არ განეკუთვნებოდა საანგარიშო პერიოდს, ხოლო დარჩენილი 111 ინდიკატორის შესრულების ხარისხი პროცენტულად

შემდეგნაირად გამოიყურება - 87,5 % სრულყოფილი, ხოლო რიგ შემთხვევაში სამიზნე მაჩვენებლების გადაჭარბებით ან წინსწრებით შესრულება; 12,5% - ნაწილობრივი შესრულება, რაც, რიგ შემთხვევაში, ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კონტროლის ფარგლებს გარეთ არსებული ობიექტური მიზეზებით (მაგ., საკანონმდებლო/მარეგულირებელი შეზღუდვები) აიხსნება.

შესაბამისად, როგორც ქვევით წარმოდგენილი დიაგრამიდანაც ჩანს, 2018 წლიდან დღემდე ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შესრულების მაჩვენებლები წლიდან წლამდე იზრდება.

სამოქმედო გეგმის შესრულების დონე 2018-2024 წლებში



2024 წლის მონიტორინგის შედეგების მიხედვით განისაზღვრა დამატებითი მხარდამჭერი მექანიზმები ნაწილობრივი შესრულების შეფასების მქონე აქტივობების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც წარმოდგენილია სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების ცხრილის შემდეგ.

ცხრილი #1 - 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების კონსოლიდირებული ანგარიში აქტივობების შესრულების დონეზე

პრიორიტეტი	სტრატეგიული მიზანი	სტრატეგიული ამოცანები	აქტივობები	შესრულების ძირითადი ინდიკატორ(ებ)ი	განხორციელების ვადა												2024 შესრულება
					2024				2025				2026				
					I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	
1. საგანმანათლებლო საქმიანობა	1.1 საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება	1.1.1. არსებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	1.1.1.1.შრომის ბაზრის მოთხოვნების პერიოდული შესწავლა და გამოვლენილი საჭიროებების ასახვა საგანმანათლებლო პროგრამებში	1.1.1.1.1.შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამების დასაახლოებლად წარმოდგენილ ანგარიშში შეთავაზებული რეკომენდაციების რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებულია განახლებულ პროგრამებში													
			1.1.1.2.პროგრამების კურიკულუმის პერიოდული გადახედვა/თვითშეფასება და დაინტერესებული მხარეების (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ა.შ.) უკუკავშირის გათვალისწინება	1.1.1.2.1. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული რეკომენდაციების რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებულია განახლებულ პროგრამებში													
			1.1.1.3. ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება	1.1.1.3.1. ანალოგიების შესწავლის საფუძველზე გამოვლენილი რეკომენდაციების რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამებში													
			1.1.1.4. საბაკალავრო საფეხურის საერთო საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების შექმნა	1.1.1.4.1. საერთო საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების რაოდენობა													
			1.1.1..5. დისტანციური სწავლების მექანიზმების გაფართოება სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინებით	1.1.1.5.1. ონლაინ სწავლების ახალი მექანიზმების რაოდენობა													
				1.1.1.5.2. ჰიბრიდული სწავლების მექანიზმები დანერგილია ეტაპობრივად სასწავლო კომპონენტებში													
		1.1.2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება (მათ შორის 180 კრედიტიანი საბაკალავრო და 60 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამები)	1.1.2.1. ბიზნესის ადმინისტრირების 180 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამის შემუშავება	1.1.2.1.1. ბიზნეს ადმინისტრირების შემუშავებული საბაკალავრო პროგრამა													
			1.1.2.2. საჯარო მმართველობის მიმართულებით 180 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამის შემუშავება	1.1.2.2.1. შემუშავებული საბაკალავრო პროგრამა													
			1.1.2.3. ციფრული მარკეტინგის 180 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამის შემუშავება	1.1.2.3.1. ციფრული მარკეტინგის შემუშავებული საბაკალავრო პროგრამა													
			1.1.2.4. ერთწლიანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამის შემუშავება	1.1.2.4.2. შემუშავებული სამაგისტრო პროგრამა													
		1.1.3. საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლა/სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა/განვითარება	1.1.3.1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერიოდული გადამზადება სწავლა/სწავლებისა და შეფასების ახალ მეთოდებში	1.1.3.1.1. გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა (არანაკლებ 30 აკადემიური და მოწვეული) ჩაშლილი გენდერული და ასაკობრივი ნიშნით													
			1.1.3.2. სწავლა-სწავლებისა და სტუდენტთა შეფასების ახალი მეთოდების სილაბუსებში ინტეგრირება	1.1.3.2.1. სილაბუსებში ინტეგრირებული სწავლა/სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდების რაოდენობა													
		1.1.4. არსებული და ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გეგმიური სააკრედიტაციო წარმოების/გარე შეფასების განხორციელება	1.1.4.1. საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გარე (სამწლიანი ანგარიშები, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანა) შეფასების განხორციელება	1.1.4.1.1. წარდგენილი პროგრამების წილი, რომელმაც წარმატებით გაიარეს გარე შეფასება													
			1.1.4.2. მენეჯმენტისა და ადმინისტრირების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციისთვის მომზადება და აკრედიტაციის პროცესის წარმოება: საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა, საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა, ადგილობრივი თვითმმართველობის სააგისტრო პროგრამა, ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	1.1.4.2.1. კლასტერში გაერთიანებული აკადემიური პროგრამების წილი, რომელსაც მიღებული აქვს აკრედიტაცია.													
			1.1.4.3. სწავლის სფეროების კლასიფიკატორში გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო კვალიფიკაციის ინიცირერების პროცესის დასრულება	1.1.4.3.1. სწავლის სფეროების კლასიფიკატორში დამატებული გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო კვალიფიკაცია													
			1.1.4.4. მენეჯმენტისა და ადმინისტრირების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციისთვის მომზადება და აკრედიტაციის პროცესის წარმოება: გარემოს დაცვის მენეჯმენტი, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა, ციფრული მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამა	1.1.4.4.1. კლასტერში გაერთიანებული აკადემიური პროგრამების წილი, რომელსაც მიღებული აქვს აკრედიტაცია.													
			1.1.4.5. სამართლის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციისთვის მომზადება და აკრედიტაციის პროცესის წარმოება: სამართლის საბაკალავრო პროგრამა, საერთაშორისო სამართლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	1.1.4.5.1. კლასტერში გაერთიანებული აკადემიური პროგრამების წილი, რომელსაც მიღებული აქვს აკრედიტაცია.													

	მიზანი 1.2 უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა	ამოცანა 1.2.1. უნივერსიტეტის ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის ტრენინგ პროგრამების განვითარება	1.2.1.1. ტრენინგ პროგრამების პერიოდული გადახედვა/თვითშეფასება და დაინტერესებული მხარეების (მსმენელების, ლექტორების, და სხვა) უკუკავშირის მიღება	განახლებული ტრენინგ პროგრამების რაოდენობა												
		ამოცანა 1.2.2. უნივერსიტეტის ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის ახალი ტრენინგ პროგრამების შემუშავება	1.2.2.1. ეპიდემიოლოგიის მიმართულებით ახალი ტრენინგ პროგრამის შემუშავება	1.2.2.1.1. ეპიდემიოლოგიის მიმართულებით შემუშავებული ტრენინგ პროგრამა												
			1.2.2.2. ციფრული მარკეტინგის მიმართულებით ახალი ტრენინგ პროგრამის შემუშავება	1.2.2.2.1. ციფრული მარკეტინგის მიმართულებით შემუშავებული ტრენინგ პროგრამა												
			1.2.2.3. გრაფიკული დიზაინის მიმართულებით ახალი ტრენინგ პროგრამის შემუშავება	1.2.2.3.1. გრაფიკული დიზაინის მიმართულებით შემუშავებული ტრენინგ პროგრამა												
			1.2.2.4. უფროსი თანამისთვის საზოგადოებაში ღირსეული ინტეგრაციის მხარდასაჭერი ტრენინგ პროგრამების შემუშავება	1.2.2.4.1. შემუშავებული ტრენინგ პროგრამების რაოდენობა (არანაკლებ 2 ტრენინგ პროგრამა)												
	მიზანი 1.3 მეწარმე უნივერსიტეტის პრინციპების გამოყენება	ამოცანა 1.3.1. უნივერსიტეტის ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის მიერ საკონსულტაციო სერვისების შექმნა და განვითარება	1.3.1.1. უნივერსიტეტის მასშტაბით საკონსულტაციო სერვისების მიწოდებისთვის შესაბამისი ადამიანური რესურსების მობილიზება	1.3.1.1.1. ადამიანური რესურსის რაოდენობა (არანაკლებ 5 ადამიანი)												
			1.3.1.2. არანაკლებ ხუთი საკონსულტაციო პაკეტის შემუშავება გარე (კერძო, საჯარო და არასამთავრობო) აქტორებისთვის	1.3.1.2.1. შემუშავებული საკონსულტაციო სერვისების რაოდენობა												
2. ინტერნაციონალიზაცია	მიზანი 2.1 გაცვლითი შესაძლებლობების განვითარება	ამოცანა 2.1.1. Erasmus+ ფარგლებში შესაძლებლობების განვითარება	2.1.1.1. საერთაშორისო Staff Week-ებში და საერთაშორისო პროფესიული ქსელების წევრობით არსებული პროფესიული კონტაქტების გაფართოება და ახალი პარტნიორების მოძიება / არსებული პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება	2.1.1.1.1. არსებული ICM კონტრაქტები, ყოველწლიურად არანაკლებ 15 არსებულ/ახალ პარტნიორთან გაძლიერებული / დამყარებული თანამშრომლობა												
		ამოცანა 2.1.2 პარტნიორებთან არსებული თანამშრომლობების განვითარება	2.1.2.1. საერთაშორისო Staff Week-ებში და საერთაშორისო პროფესიული ქსელების წევრობით არსებული პროფესიული კონტაქტების გაფართოება და ახალი პარტნიორების მოძიება / არსებული პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება	2.1.2.1.1. ყოველწლიურად არანაკლებ 5 აქტივობა (საზაფხულო / ზამთრის სკოლები, ერთობლივი კვლევები)												
	მიზანი 2.2 საერთაშორისო მობილობის პროცესში მონაწილეთა რაოდენობის ზრდა	ამოცანა 2.2.1 წამსვლელი სტუდენტების საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფა	2.2.1.1. გამჭვირვალე და სამართლიანი შესარჩევი პროცესის წარმოება მობილობის მიზნებისთვის არსებული კვოტების ფარგლებში /	2.2.1.1.1. ყოველწლიურად არანაკლებ 40 სტუდენტი												
		ამოცანა 2.2.2 ჩამომსვლელი სტუდენტების საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფა	2.2.2.1. გამჭვირვალე და სამართლიანი შესარჩევი პროცესის წარმოება მობილობის მიზნებისთვის არსებული კვოტების ფარგლებში	2.2.2.1.1. ყოველწლიურად არანაკლებ 25 სტუდენტი												
		ამოცანა 2.2.3 წამსვლელი აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფა	2.2.3.1. გამჭვირვალე და სამართლიანი შესარჩევი პროცესის წარმოება მობილობის მიზნებისთვის არსებული კვოტების ფარგლებში	2.2.3.1.1. ყოველწლიურად არანაკლებ 20 აკადემიური / ადმინისტრაციული თანამშრომელი												
		ამოცანა 2.2.4 ჩამომსვლელი აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფა	2.2.4.1. გამჭვირვალე და სამართლიანი შესარჩევი პროცესის წარმოება მობილობის მიზნებისთვის არსებული კვოტების ფარგლებში	2.2.4.1.1. ყოველწლიურად არანაკლებ 20 აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალი												
	მიზანი 2.3 სასწავლო და კვლევითი პროცესის ინტერნაციონალიზაცია	ამოცანა 2.3.1 ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	2.3.1.1. უნივერსიტეტის სკოლებთან თანამშრომლობით ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	2.3.1.1.1. ინგლისურენოვანი პროგრამის კურიკულუმი; 2026 წლის ბოლო 1 პროგრამა (PA MA Program)												
		ამოცანა 2.3.2 აკადემიურ პროგრამებში ინტეგრირებული ინგლისურენოვანი კომპონენტების განვითარება / გამრავალფეროვნება	2.3.2.1. ინგლისურენოვანი სასწავლო კომპონენტების შემუშავება (საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე)	2.3.2.1.1. ინგლისურენოვანი საგნების სილაბუსების რაოდენობა; არანაკლებ 24 კრედიტი საბაკალავრო პროგრამაზე, არანაკლებ 12 კრედიტი სამაგისტრო პროგრამაზე												
		ამოცანა 2.3.3 საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება	2.3.3.1. პოლიტიკის მეცნიერებებში ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის შემუშავება	2.3.3.1.1. შემუშავებული ერთობლივი პროგრამა პოლიტიკის მეცნიერებებში												
		ამოცანა 2.3.4 დისტანციური / ციფრული საგანმანთლებლო კომპონენტების ინტეგრაციის წახალისება სწავლებაში (COIL - Collaborative Online International Learning / Virtual Exchange)	2.3.4.1. პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ერთობლივი საგანმანათლებლო კომპონენტების განვითარება COIL ფორმატში	2.3.4.1.1. არანაკლებ ერთი ყოველწლიურად												
		ამოცანა 2.3.5 საერთაშორისო კვლევითი მობილობების ხელშეწყობა	2.3.5.1. ICM შესაძლებლობის ფარგლებში სადოქტორო პროგრამის სტუდენტების მობილობის ხელშეწყობა	2.3.5.1.1. მობილობების რაოდენობა, არანაკლებ 2 წამსვლელი და 1 ჩამომსვლელი სტუდენტი ყოველწლიურად												
	მიზანი 2.4 ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობების მართვა	ამოცანა 2.4.1 საერთაშორისო საგრანტო პროგრამების განხორციელების გზით ადგილობრივი შესაძლებლობების გაზრდა - EU CBHE	2.4.1.1. ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ერთობლივი EU CBHE საგრანტო განაცხადების მომზადება	2.4.1.1.1. წელიწადში არანაკლებ ერთი CBHE აპლიკაცია												
		ამოცანა 2.4.2 საერთაშორისო საგრანტო პროგრამების განხორციელების გზით რეგიონული შესაძლებლობების გაზრდა	2.4.2.1. სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით, ამერიკის საელჩოსთან თანამშრომლობა ფონდების მოძიების მიმართულებით (ჟურნალისტიკის სკოლა)	2.4.2.1.1. წელიწადში ორი (სომხეთი და აზერბაიჯანი) საგრანტო შეთანხმება												
		ამოცანა 2.4.3 საერთაშორისო პროფესიულ ქსელებში ინტეგრირების ზრდა	2.4.3.1. საერთაშორისო პროფესიულ ქსელების იდენტიფიცირება; გაწევრიანებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და პროცესის მართვა	2.4.3.1.1. გაწევრიანების დამადასტურებელი დოკუმენტაცია												
		ამოცანა 2.4.4 მობილობაში მონაწილე თანამშრომლების და აკადემიური	2.4.4.1. მიდა შეხვედრების ორგანიზება თანამშრომლების და აკადემიური პერსონალისთვის, რომელშიც მონაწილეობას	2.4.4.1.1. ყოველწლიურად არანაკლებ 5 შეხვედრა												

		პერსონალის მიერ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება	მიიღებენ მობილობის მონაწილე თანამშრომლები გამოცდილების გაზიარების მიზნით														
3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	მიზანი 3.1 საგამომცემლო რესურსის განვითარება და მართვა	3.1.1. NISPAcee Journal of Public Administration and Policy თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება	3.1.1.1. NISPAcee Journal of Public Administration and Policy თანამშრომლობის განახლება 2024-2027 წლებისთვის	3.1.1.1.1. განახლებული მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ													
			3.1.1.2. NISPAcee Journal of Public Administration and Policy-ის გამოცემის მხარდაჭერა	3.1.1.2.1. სტატიების რაოდენობა, რედაქტირებული და ფორმატირებული GIPA-ს მიერ, არანაკლებ 20 ყოველწლიურად													
		3.1.2. ახალი ელექტრონული გამოცემის - პოლიტიკის დოკუმენტების სერიის განვითარება	3.1.2.1. GIPA-ს ახალი გამოცემის - პოლიტიკის დოკუმენტების სერიის დაარსება	3.1.2.1.1. ახალი პუბლიკაცია - პოლიტიკის დოკუმენტების სერია, რომელიც ჩამოებულია ორჯერადი პუბლიციირების რეჟიმით													
			3.1.2.2 GIPA-ს ახალი გამოცემის - პოლიტიკის დოკუმენტების სერიის ფინანსური მხარდაჭერა	3.1.2.2.1. პოლიტიკის დოკუმენტების რაოდენობა, რომელიც მხარდაჭერილია კვლევების დეპარტამენტის მიერ წელიწადში ორჯერადი გამოცემით, არანაკლებ 15 დოკუმენტი ყოველწლიურად													
		3.1.3. საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და იმპაქტ-ფაქტორულ გამოცემებში გამოქვეყნების შესაძლებლობების გაზრდა	3.1.3.1. სამეცნიერო ეთიკის კომიტეტების ფორმირება საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და იმპაქტ-ფაქტორულ გამოცემებში გამოქვეყნების მიზნით კვლევის ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად	3.1.3.1.1. სამეცნიერო ეთიკის კომიტეტების მიერ მხარდაჭერილი კვლევითი პროექტების რაოდენობა													
			3.1.3.2. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის რედაქტირების ფინანსური მხარდაჭერა	3.1.3.2.1. სტატიების რაოდენობა, რომლის რედაქტირება ხორციელდება უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტის მხარდაჭერით													
		3.1.4. GIPA-ს პოლიტიკისა და დემოკრატიზაციის ჟურნალის (JPD) განვითარება	3.1.4.1. GIPA-ს პოლიტიკისა და დემოკრატიზაციის ჟურნალის (JPD) წარმოება და მარკეტინგული კამპანიის განხორციელება წელიწადში ორჯერ	3.1.4.1.1. წლის განმავლობაში ორჯერადი გამოქვეყნება ელექტრონული სახით													
				3.1.4.1.2. მარკეტინგული კამპანიის საფუძველზე მოცული აუდიტორიის რაოდენობა, არანაკლებ 500													
			3.1.4.2. GIPA-ს პოლიტიკისა და დემოკრატიზაციის ჟურნალის (JPD) საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში ინტეგრაცია	3.1.4.2.1. საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში ინტეგრირებული GIPA-ს პოლიტიკისა და დემოკრატიზაციის ჟურნალი (JPD)													
	მიზანი 3.2 კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლება	3.2.1. საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებსა და ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა	3.2.1.1. საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებსა და ასოციაციებში გაწევრიანების მხარდაჭერა	3.2.1.1.1. საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებისა და ასოციაციების რაოდენობა, რომლის წევრიც არის GIPA (არანაკლებ 5 ქსელის/ასოციაციის წევრობა სამი წლის განმავლობაში)													
			3.2.1.2. საერთაშორისო და ადგილობრივ ელექტრონულ რესურსებსა და ბაზებზე წვდომის მხარდაჭერა	3.2.1.2.1. ელექტრონული ბაზების რაოდენობა, რომელიც ხელმისაწვდომია GIPA-ს მიერ (არანაკლებ 10 სამეცნიერო ელექტრონულ ბაზაზე წვდომის მიღწევა სამი წლის განმავლობაში)													
		3.2.2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა	3.2.2.1. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის საწევროს საფასურის გადახდაში მხარდაჭერა	3.2.2.1.1. აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომელსაც გაეწია მხარდაჭერა													
			3.2.2.2. უნივერსიტეტის სტუდენტების, მათ შორის დოქტორანტების, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და კვლევით აქტივობებში მონაწილეობის საწევროს საფასურის გადახდაში მხარდაჭერა	3.2.2.2.1. სტუდენტების რაოდენობა, რომელსაც გაეწია მხარდაჭერა													
			3.2.2.3. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯების თანადაფინანსება	3.2.2.3.1. აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომელსაც გაეწია მხარდაჭერა													
			3.2.2.4. საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა	3.2.2.4.1. აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომელსაც გაეწია მხარდაჭერა													
	მიზანი 3.3 კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა	3.3.1. სამეცნიერო პროექტების მოძიებისა და დაფინანსების შესაძლებლობების ზრდა	3.3.1.1. ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო განაცხადების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტებისთვის	3.3.1.1.1. წლის განმავლობაში მიწოდებული კორესპონდენციის რაოდენობა (არანაკლებ 12 კორესპონდენცია ყოველწლიურად)													
			3.3.1.2. სამეცნიერო საგრანტო განაცხადების მოძიებისა და ეფექტური მართვის ტრენინგების შეთავაზება	3.3.1.2.1. გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ჩაშლილი გენდერული და ასაკობრივი ნიშნით													
		3.3.2. საუნივერსიტეტო კვლევითი პროექტების მხარდაჭერა	3.3.2.1. შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების ბიუჯეტის ზრდა	3.3.2.1.1. შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების ბიუჯეტის გაზრდილი ბიუჯეტი (მინიმუმ 2% ყოველ წელს)													
			3.3.2.2. შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსების გამოცხადება და საგრანტო პროექტების განსაზღვრა	3.3.2.2.1. გამოცხადებული კონკურსების რაოდენობა, შერჩეული საგრანტო განაცხადების რაოდენობა													
			3.3.2.3. შიდა საუნივერსიტეტო კვლევების მხარდაჭერა/ანგარიშგება	3.3.2.3.1. მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობა, მინიმუმ 10 ყოველ წელს.													
		3.3.3. GIPA-ს მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა	3.3.3.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ფინანსური წახალისება	3.3.3.1.1. ფინანსურად წახალისებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა													
			3.3.3.2. სახელობითი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების დაფინანსება	3.3.3.2.1. კონფერენციებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა													
			3.3.3.3. კვლევების დეპარტამენტის მიერ სამუშაო შეხვედრებისა და დისკუსიების ორგანიზება	3.3.3.3.1. ღონისძიებების რაოდენობა, წელიწადში არანაკლებ 3													
		3.3.4. ელექტრონული სახელმძღვანელოების მხარდაჭერა	3.3.4.1. ელექტრონული სახელმძღვანელოების მხარდაჭერის შიდა საგრანტო დაფინანსების კონკურსის გამოცხადება და საგრანტო პროექტების განსაზღვრა	3.3.4.1.1. გამოცხადებული კონკურსების რაოდენობა, შერჩეული საგრანტო განაცხადების რაოდენობა													

		ქართულ ენაზე დეფიციტური სახელმძღვანელოების პირობებში	3.3.4.2. სახელმძღვანელოს თარგმანის თანადაფინანსება საავტორო უფლების მოპოვების შემთხვევაში	3.3.4.2.1. მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობა													
		3.3.5. სტუდენტების სამეცნიერო კვლევით პროექტებში ჩართულობის შესაძლებლობების ამაღლება	3.3.5.1. სტუდენტების მიერ ინიცირებული კვლევითი პროექტების მხარდაჭერა	3.3.5.1.1. მხარდაჭერილი პროექტების/სტუდენტების რაოდენობა													
			3.3.5.2. სტუდენტების იმიტირებულ სასამართლო პროცესებსა და სასწავლო/კვლევით სიმულაციებში მონაწილეობის მხარდაჭერა	3.3.5.2.1. დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა													
		3.3.6. დოქტორანტების კვლევების მხრდაჭერა - დოქტორანტების უმპირიული კვლევების დაფინანსება	3.3.6.1. სადოქტორო საფეხურის სტუდენტების სადისერტაციო კვლევების მხარდაჭერის შიდა საგრანტო დაფინანსება	3.3.6.1.1. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა													
			3.3.6.2.სადოქტორო საფეხურის სტუდენტების მიერ სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებაში კონსულტაციების გაწევა	3.3.6.2.1. დოქტორანტების რაოდენობა, რომელსაც გაეწია კონსულტირება													
	მიზანი 3.4 კვლევების შედეგების გავრცელება და საზოგადოებრივი პრობლემების მართვის მიზნით გამოყენება	3.4.1. უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელებული შედეგების პოპულარიზაცია	3.4.1.1. უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილი სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგების გავრცელება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით და სამიზნე დაინტერესებული ჯგუფებისთვის მიწოდება საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორისთვის	3.4.1.1.1. საკომუნიკაციო არხების რაოდენობა (არანაკლებ ორი), რომელიც გამოყენებულია სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგების გასავრცელებლად													
			3.4.1.2. უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილი სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგების ინტეგრირება სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსებში	3.4.1.2.1. პროგრამებისა და სილაბუსების რაოდენობა, სადაც ინტეგრირებულია უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილი სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგები													
		3.4.2. სამეცნიერო-სასწავლო ლიტერატურისა და კვლევის ინსტრუმენტების განახლება	3.4.2.1. კვლევითი ინსტრუმენტებისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა	3.4.2.1.1. შეძენილი კვლევითი ინსტრუმენტებისა და პროგრამული უზრუნველყოფის რაოდენობა													
			3.4.2.2. ახალი სამეცნიერო ლიტერატურის შეძენა	3.4.2.2.1. განახლებული სამეცნიერო ლიტერატურის რაოდენობა													
		3.4.3. კერძო, საჯარო და დონორი ორგანიზაციების დაკვეთით განხორციელებული კვლევების რაოდენობის გაზრდა	3.4.3.1. საგრანტო და სატენდერო განაცხადებში მონაწილეობის მიზნით კვლევების დეპარტამენტის მეშვეობით შესაბამისი კონსულტაციების უზრუნველყოფა	3.4.3.1.1. წარდგენილი საგრანტო და სატენდერო განაცხადების რაოდენობა; დაფინანსებული საგრანტო და სატენდერო განაცხადების რაოდენობა													
			3.4.3.2. ზოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მიერ წარსადგენი განაცხადების მომზადებაში მხარდაჭერა	3.4.3.2.1. ზოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდში წარდგენილი და დაფინანსებული პროექტების რაოდენობა													
	მიზანი 3.5. კვლევის მეთოდების სწავლების, სამეცნიერო ხელმძღვანელობის ხარისხისა და კვლევის კეთილსინდისიერების სტანდარტების გაუმჯობესება	3.5.1. აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მხარდაჭერა კვლევითი უნარების მუდმივი განვითარების თვალსაზრისით	3.5.1.1. საჭიროებების კვლევის საფუძველზე გამოვლენილი ტრენინგების შეთავაზება აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტებისთვის	3.5.1.1.1. დატრენინგებული აკადემიური პერსონალის და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების რაოდენობა ჩაშლილი გენდერული ნიშნით													
		3.5.2. სამეცნიერო ხელმძღვანელობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება	3.5.2.1. ხელმძღვანელების მიერ კვლევის პროცესის შეფასების კითხვარის ანალიზი მეორე და მესამე საფეხურის პროგრამებისთვის	3.5.2.1.1. იდენტიფიცირებული რეკომენდაციების რაოდენობა, რომელზეც ხდება რეაგირება კვლევების დეპარტამენტის მიერ													
			3.5.2.2. მეორე და მესამე საფეხურის სტუდენტთა მიერ ხელმძღვანელების შეფასების კითხვარის ანალიზი	3.5.2.2.1. იდენტიფიცირებული რეკომენდაციების რაოდენობა, რომელზეც ხდება რეაგირება კვლევების დეპარტამენტის მიერ													
		3.5.3. პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევებზე დაყრდნობით ანალიტიკურ ცენტრებთან ერთად კვლევის მეთოდების სწავლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესება	3.5.3.1. სამუშაო შეხვედრების ორგანიზება კვლევის მეთოდების კურსების სწავლების პროცესში პრაქტიკაზე დაფუძნებული განათლების დასაინტეგრირებლად	3.5.3.1.1. შეხვედრების რაოდენობა; პროგრამების რაოდენობა, სადაც კვლევის მეთოდების კურსის სწავლება ხორციელდება პრაქტიკაზე დაფუძნებული განათლების პრინციპებზე დაყრდნობით													
			3.5.3.2. ანალიტიკურ ცენტრების სტაჟირებასა და პრაქტიკებში GIPA-ს სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება	3.5.3.2.1. სტუდენტთა რაოდენობა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ანალიტიკური ცენტრების სტაჟირებებსა და პრაქტიკებში													
		3.5.4. კვლევის კეთილსინდისიერების სტანდარტების ტრენინგის შემუშავება და განხორციელება აკადემიური პერსონალისა და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისთვის	3.5.4.1. კვლევის კეთილსინდისიერების სტანდარტების ტრენინგის შემუშავება და განხორციელება აკადემიური პერსონალისა და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისთვის	3.5.3.1.1. დატრენინგებული აკადემიური პერსონალის და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების რაოდენობა ჩაშლილი გენდერული ნიშნით													
			3.5.4.2. კვლევის კეთილსინდისიერების ელექტრონული MOOC ტრენინგ-მოდულების შემუშავება და დანერგვა	3.5.4.2.1. დანერგილი ტრენინგ მოდულების რაოდენობა													
			3.5.4.3. ეთიკის ერთიანი კომიტეტის ჩამოყალიბება და მისი საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი	3.5.4.3.1. ჩამოყალიბებული და პერმანენტულ რეჟიმში ფუნქციონირებადი ეთიკის ერთიანი კომიტეტი													
			3.5.4.4. აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტებისთვის საჭირო აკადემიური მხარდაჭერისა და კეთილსინდისიერი კვლევის სერვისების დანერგვა და შეთავაზება	3.5.4.4.1. აკადემიური პერსონალისთვის და პრაქტიკოსი მკვლევრებისთვის შეთავაზებული სერვისების რაოდენობა													
4. ინსტიტუციური განვითარება	მიზანი 4.1 ინფრასტრუქტურის განვითარება	ამოცანა 4.1.1 საგანმანათლებლო პროგრამების უმრავლესობის ერთ ლოკაციაზე თავმოყრა	4.1.1.1. საუნივერსიტეტო პროცესების ძირითადი ნაწილის თავმოყრა ერთ (ახალ) შენობაში	4.1.1.1.1. გრძელვადიანი იჯარით აღებული ახალი შენობა													
			4.1.1.2. საერთო-საუნივერსიტეტო შენობების სარემონტო სამუშაოები	4.1.1.2.1. გრძელვადიანი იჯარით აღებული ახალი შენობის და არსებული შენობების გარემონტება													
				4.1.2.2. გრძელვადიანი იჯარით აღებული ახალი შენობის ეზოში განახლებული სარეკრეაციო სივრცე													
		ამოცანა 4.1.2 სასწავლო და მატერიალური რესურსის პერიოდული განახლება	4.1.2.1. უნივერსიტეტის IT და ლოჯისტიკის სამსახურების მიერ საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის პერიოდული შეფასება და შესაბამისი ძირითადი საშუალებების განახლება	4.1.2.1.1. უნივერსიტეტის მიერ შეძენილი ძირითადი სამუალებების რაოდენობა													
				4.1.2.1.2. საუნივერსიტეტო პროცესების შეუფერხებელი მიმდინარეობა													

		ამოცანა 4.1.3 სტუდენტური სივრცეების შექმნა და განვითარება	4.1.3.1. უნივერსიტეტის შენობებში სტუდენტთა სამუშაო თუ სხვა აქტივობებისთვის, განკუთვნილი სივრცეების მოწყობა	4.1.3.1.1. უნივერსიტეტის შენობებში სტუდენტური სივრცეების მოცულობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია არანაკლებ 100%-ით												
	მიზანი 4.2 სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა	ამოცანა 4.2.1 კარიერული მხარდაჭერის სერვისების განვითარება	4.2.1.1. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესაძლებლობების შემდგომი გაუმჯობესება	4.2.1.1.1. ჩატარებული ტრენინგების/მასტერკლასების რაოდენობა (არანაკლებ 3 ყოველ წელს)												
				4.2.1.1.2. ჩატარებული დასაქმების ფორუმები (არანაკლებ 1 ყოველ წელს)												
			4.2.1.2. უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ინტეგრირების მიზნით მხარდამჭერ აქტივობებში მონაწილე სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდა	4.2.1.2.1. კარიერული განვითარების ტრენინგებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობის 10%-იანი ზრდა ყოველ წელს												
				4.2.1.2.2. კარიერული კონსულტირების სერვისის მომხმარებელ კურსდამთავრებულთა რაოდენობის 10%-იანი ზრდა ყოველ წელს												
		ამოცანა 4.2.2 სტუდენტური ცხოვრების მხარდაჭერა	4.2.2.1. უნივერსიტეტის სტუდენტური ფონდის მოცულობის ყოველწლიური გაზრდა	4.2.2.1.1 უნივერსიტეტის ბიუჯეტში სტუდენტური ინიციატივების/პროექტებისთვის გამოყოფილი თანხის ყოველწლიურად მინიმუმ 10%-ით გაზრდა												
			4.2.2.2. საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის იმგვარად დაგეგმვა/მოწყობა, რომელიც მეტ შესაძლებლობას გააჩენს სტუდენტური აქტივობების საუნივერსიტეტო სივრცეშივე დასაგეგმად/ჩასატარებლად	4.2.2.2.1. უნივერსიტეტის შენობებში სტუდენტური სივრცეების შესაძლებლობას იძლევა მეტად მრავალფეროვანი აქტივობების ჩასატარებლად												
			4.2.2.3. სტუდენტური პროექტების დაფინანსებისთვის გამოყოფილი საუნივერსიტეტო დაფინანსების ზრდა	4.2.2.3.1. სტუდენტური აქტივობების შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების, არანაკლებ 5%-ით ზედა ყოველწლიურად												
			4.2.2.4. სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების მიზნით კონკურსის გამოცხადება	4.2.2.4.1. არანაკლებ ორი კონკურსი ყოველწლიურად												
			4.2.2.5 სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროფ-ორიენტაციის განვითარება	4.2.2.5.1. პროფ-ორიენტაციის მეთოდოლოგია												
			4.2.2.6. სტუდენტთა ექსტრაკურიკულური აქტივობების მხარდაჭერა	4.2.2.6.1. უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილი ექსტრაკურიკულური აქტივობების რაოდენობა (არანაკლებ 30 ყოველ წელს)												
	მიზანი 4.3 ორგანიზაციული ეფექტიანობის მუდმივი გაუმჯობესება	ამოცანა 4.3.2. თანამშრომელთა შრომის ნაყოფიერების ზრდის ხელშეწყობა	4.3.2.1. ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზაციის ხარისხის გაზრდა თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებით	4.3.2.1.1. უნივერსიტეტის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის Portal.gipa.ge-ს გაზრდილი ავტომატიზაციის ხარისხი												
				4.3.2.1.2. სამუშაო პროცესში დანერგილი ახალი ტექნოლოგიები (პროგრამული უზრუნველყოფა, ფიზიკური ტექნიკური საშუალებები)												
			4.3.2.2. თანამშრომელთათვის ახალი უნარ-ჩვევების მიღების შესაძლებლობა უფასო საუნივერსიტეტო ტრენინგ კურსების შეთავაზებით	4.3.2.2.1. უნივერსიტეტის ტრენინგ პროგრამებში მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობა												
	4.4. ორგანიზაციის ზომის გეგმაზომიერი ზრდა	4.4.1. სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდა	4.4.1.1. საავტორიზაციო წარმოების ფარგლებში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა, არაუმეტეს 4500-მდე	4.4.1.1.1. გაზრდილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა												
			4.4.1.2. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა არაუმეტეს 300 სტუდენტამდე	4.4.1.2.1. გაზრდილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა												
			4.4.1.3. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა არაუმეტეს 500 სტუდენტამდე	4.4.1.3.1. გაზრდილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა												
		ამოცანა 4.4.2. სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ადამიანური რესურსის რაოდენობის გაზრდა	4.4.2.1. ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის გაზრდა	4.4.2.1.1. საუნივერსიტეტოდ დადგენილ თანაფარდობასთან შესაბამისობა												
			4.4.2.2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა	4.4.2.2.1. საუნივერსიტეტოდ დადგენილ თანაფარდობასთან შესაბამისობა												
			4.4.2.3. მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა	4.4.2.3.1. საუნივერსიტეტოდ დადგენილ თანაფარდობასთან შესაბამისობა												
	მიზანი 4.5 უნივერსიტეტის ადამიანური რესურსის განვითარება	ამოცანა 4.5.1 საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური პერსონალის შენარჩუნება	4.5.1.1. აკადემიური პერსონალის საჭიროებებზე მორგებული პროფესიული განვითარების ტრენინგების შემუშავება და მუდმივი გაუმჯობესება	4.5.1.1.1. წლის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა (15 ერთეული)												
				4.5.1.1.2. პროფესიული განვითარების ტრენინგებში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობა (არანაკლებ 15 წლის განმავლობაში)												
			4.5.1.2. აკადემიური პერსონალისთვის კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა და სასწავლო/სამეცნიერო პროცესის მიმდინარეობისას მათი საჭიროებების ხელშეწყობა	4.5.1.2.1. გარემოთი კმაყოფილების კვლევის შედეგები												
				4.5.1.2.2. საბიბლიოთეკო რესურსის გაზრდილი რაოდენობა (არანაკლებ 200 ერთეულისა)												
				4.5.1.2.3. აკადემიური პერსონალისთვის განკუთვნილი სივრცის გაზრდილი ფართი და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი												

			4.5.1.3. კონკურენტული შრომის ანაზღაურების შენარჩუნება	4.5.1.3.1. შრომის ბაზარზე არსებული შრომითი ანაზღაურების კვლევის შედეგები/გარემოთი კმაყოფილების კვლევის შედეგები													
			4.5.1.4. უნივერსიტეტის სამუშაო პროცესების დაგეგმვისას აკადემიური პერსონალის საჭიროებების გათვალისწინება	4.5.1.4.1 გარემოთი კმაყოფილების კვლევის შედეგები													
			4.5.1.5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა (კვლევითი ნაშრომების ხელმძღვანელობა, რეცენზირება, და სხვა)	4.5.1.5.1. გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა (არანაკლებ 15 აკადემიური/მოწვეული პერსონალი ყოველწლიურად)													
		4.5.2. თანასწორი და სამართლიანი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	4.5.2.1. საუნივერსიტეტო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება თანასწორი და სამართლიანი სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად	4.5.2.1.1. შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტი													
			4.5.2.2. საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ციკლის ორგანიზება უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის	4.5.2.2.1. პერსონალის რაოდენობა, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი													
		ამოცანა 4.5.3. უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, ადმინისტრაციული პერსონალის შენარჩუნება	4.5.3.1. კონკურენტული შრომის ანაზღაურების შენარჩუნება	4.5.3.1.1. შრომის ბაზარზე არსებული შრომითი ანაზღაურების კვლევის შედეგები/გარემოთი კმაყოფილების კვლევის შედეგები													
			4.4.3.2. მოქნილი სამუშაო გრაფიკის შენარჩუნება	4.5.3.2.1. გარემოთი კმაყოფილების კვლევის შედეგები													
	მიზანი 4.6 ადამიანური რესურსების მართვის ეფექტური მიდგომების დანერგვა	ამოცანა 4.6.1 თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს სისტემის განვითარება	4.6.1.1. თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება (არანაკლებ წელიწადში ერთხელ)	4.6.1.1.1. თანამშრომელთა შეფასების შედეგების ანგარიში													
		4.6.2. თანამშრომელთა მონაწილეობით მათი შემდგომი კარიერული განვითარების ხელშეწყობა	4.6.2.1. თანამშრომელთა შემდგომი კარიერული განვითარების საჭიროებათა დადგენა (არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ)	4.6.2.1.1. დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შემუშავებული კარიერული განვითარების გეგმა													
	მიზანი 4.7. ფინანსური წყაროების დივერსიფიკაცია	ამოცანა 4.7.1 უნივერსიტეტის შემოსავლებში არაakადემიური პროგრამებიდან / აქტივობებიდან მიღებული შემოსავლების წილის ზრდა	4.7.1.1. გარე წყაროებიდან, დონორი ორგანიზაციებიდან და სხვა სახის დაინტერესებული მხარეებისგან დამატებითი ფინანსების მოსაზიდი აქტივობების ზრდა	4.7.1.1.1. საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, არააკადემიური პროგრამებიდან მიღებული შემოსავლების 3-5%-იანი ზრდა შესაბამისი წლის წინა საბიუჯეტო პერიოდთან შედარებით													
			4.7.1.2. ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის მიერ სატრენინგო/საკონსულტაციო შეთავაზებების გამრავალფეროვნება	4.7.1.2.1. ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის გაზრდილი შემოსავლები													
			4.7.1.3. ადგილობრივი და საერთაშორისო დონორების კვლევით და სხვა სახის საგრანტო პროექტებში მონაწილეობა	4.7.1.3.1. მოგებული საგრანტო პროექტების რაოდენობა (არანაკლებ 3 სამი წლის განმავლობაში)													
5. პროფესიული განათლება	მიზანი 5.1 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და არსებულების განვითარება	ამოცანა 5.1.1. არსებული პროფესიული საგანმანათლებლო (გრძელვადიანი) პროგრამის განვითარება	5.1.1.1 პროგრამის განახლება (შრომის უსაფრთხოების და გარემოდაცვის ტექნოლოგიების უმაღლესი პროფესიული პროგრამა)	5.1.1.1.1. განახლებული პროგრამა													
			5.1.1.2 დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სტუდენტების კვლევა	5.1.1.2.1. ჩატარებული კვლევები													
			5.1.1.3 პროგრამის პოპულარიზების კამპანია	5.1.1.3.1. კამპანია													
		ამოცანა 5.1.2. შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული საკვალიფიკაციო (გრძელვადიანი) პროგრამების დამატება	5.1.2.1 შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესწავლა	5.1.2.1 მიზანშეწონილობის შეფასება													
			5.1.2.2 პროგრამების ინდეტიფიცირება და დამატება (შემდეგი ფართო სფეროებიდან: ინჟინერია; ბიზნესი, ადმინისტრირება; ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები; განათლება; ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; და სხვა რეგულირებადი პროფესიები)	5.1.2.2 დამატებული პროგრამა/ები													
		ამოცანა 5.1.3. ინოვაციური, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული საკვალიფიკაციო პროგრამების დანერგვა	5.1.3.1 დარგის სექტორული კვლევის განხორციელება ან/და ანალიზი	5.1.3.1.1. კვლევა													
			5.1.3.2 შრომის ბაზრის ანალიზი	5.1.3.2.1. ანალიზის დოკუმენტი													
			5.1.3.3 უმაღლესი პროფესიული პროგრამის შექმნა და დანერგვა (უმაღლესი პროფესიული პროგრამები ენერგომენეჯერისა და განახლებადი ენერგიების მიმართულებით)	5.1.3.3.1. დამატებული უმაღლესი პროფესიული პროგრამის რაოდენობა													
		ამოცანა 5.1.4. მომზადება-გადამზადების სასერთიფიკატო პროგრამების შემუშავება და განხორციელება	5.1.4.1 მოთხოვნადი პროგრამების ინდენტიფიცირება	5.1.4.1.1. სამიზნე პროგრამების ჩამონათვალი													
			5.1.4.2 ენერგეტიკის პროგრამების (არაუმეტეს ხუთი) დამატება	5.1.4.2.1. უფლების მოპოვების გზით დამატებული პროგრამები													
			5.1.4.3 შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის საფუძველზე პროგრამების (ორი ან სამი) დამატება	5.1.4.3.1. ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის გზით დამატებული პროგრამები													
		ამოცანა 5.1.5. ინტეგრირებული და დუალური პროგრამების განხორციელება	5.1.5.1 მოთხოვნადი პროგრამების იდენტიფიცირება	5.1.5.1.1. სამიზნე პროგრამების ჩამონათვალი													
			5.1.5.2 ინტეგრირებული პროგრემის/ების დამატება	5.1.5.2.1. დამატებული ინტეგრირებული პროგრამა													
			5.1.5.3 დუალური პროგრამების დამატება	5.1.5.3.1. დამატებული დუალური პროგრამა													
	მიზანი 5.2 სტრუქტურული გაუმჯობესება	ამოცანა 5.2.1. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარება	5.2.1.1 უმაღლესი პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო აღჭურვილობის განახლება	5.2.1.1.1. განახლებული C გარემო													
			5.2.1.2 უმაღლესი პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო კომპიუტერული და ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	5.2.1.2.1. განახლებული B გარემო													

		ამოცანა 5.2.2 პოფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური რესურსების განვითარება	5.2.2.1 დარგის სპეციალისტების/პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	5.2.2.1 გადამზადებულ პროფესიულ განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, არანაკლებ 10													
			5.2.2.2 პროფესიული მასწავლებლების გადამზადება სწავლა-სწავლების მეთოდებში														
		5.2.5 პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება და პრაქტიკის ახალ ობიექტებთან თანამშრომლობის დამყარება	5.2.5.1 პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტები და შეფასება	5.2.5.1 პრაქტიკის ობიექტთა რაოდენობა													
			5.2.5.3 ახალი პრაქტიკის ობიექტების დამატება	5.2.5.3 პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმის რაოდენობა													
		ამოცანა 5.2.6 საერთაშორისო თანამშრომლობა და ფონდების მოძიება	5.2.6.1 საგრანტო პროექტებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება	5.2.6.1 წარდგენილი განაცხადებისა და მათ შორის დაფინანსებულთა რაოდენობა													
			5.2.6.2 საერთაშორისო კავშირების დამყარება/ ექსპერტების/კონსულტატების მოზიდვა	5.2.6.2 საერთაშორისო პარტნირთა / ექსპერტთა / კონსულტანტთა რაოდენობა													
			5.2.6.3 პროფესიულ ასოციაციებში/ქსელებში გაწევრიანება	5.2.6.3 პროფესიოლი ასოციაციების/ქსელების რაოდენობა, რომლის წევრიც არის ჯიპა													

რეკომენდაციები

გასათვალისწინებელია, რომ შესრულების ძირითადი ინდიკატორების მიხედვით ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ 2024 წლის ანგარიშების შედეგების შეფასებისა და 2025 წლის შემაჯამებელი შეხვედრის საფუძველზე მონიტორინგის ჯგუფი გასცემს შემდეგ რეკომენდაციებს:

1. ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის, კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში (ETHICS)“ ფარგლებში უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტის მიერ შემუშავდეს საუნივერსიტეტო ეთიკის ერთიანი კომიტეტის ჩამოყალიბების კონცეფცია და მოხდეს სამეცნიერო ეთიკის კომიტეტების ფორმირება სამეცნიერო კვლევითი პროექტებისა და საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და იმპაქტ-ფაქტორულ გამოცემებში გამოქვეყნების მიზნით კვლევის ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.
2. შიდა საუნივერსიტეტო კვლევების მხარდამჭერ პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობების გასაზრდელად უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტმა უზრუნველყოს საინფორმციო შეხვედრების ორგანიზება და ე.წ. სამეცნიერო excellence გუნდების ჩამოყალიბების წახალისება.
3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მიერ წარსადგენი განაცხადების მომზადების სერვისი დაემატოს უნივერისტეტის კვლევების დეპარტამენტის ფუნციათა ჩამონათვალს და მოხდეს შესაბამისი სერვისის გაწევა უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტის მიერ ფონდში წარდგენილი განაცხადების რაოდენობისა და ხარისხის ასამაღლებლად.
4. სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრს დაევალოს დასაქმების ფორუმის ორგანიზება და განხორციელება 2025 წელს.
5. მიზანშეწონილია რექტორატმა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით შემდგომი ნაბიჯები (ასეთი საჭიროების შემთხვევაში) დაგეგმოს სააპელაციო საბჭოში უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის დასრულების შემდგომ.